ა(ა)იპ კოლეჯის „ჰორიზონტი“ მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,სატყეო საქმე“ დამატების შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები
თავმჯდომარე: ნინო თამაზაშვილი
წევრები:
ნინო ძნელაძე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: ა(ა)იპ კოლეჯი „ჰორიზონტი“

ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა: - ა(ა)იპ

საიდენტიფიკაციო კოდი: 237079497

სახე:

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

■ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება / კოლეჯი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

სსიპ ,,განათლების ხარისხის განვითარების ერვონული ცენტრის 2024 წლის 9 ივლისის N 838450 ბრძანების საფუძველზე, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს დაევალა ,,სატყეო საქმის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრულ სტანდარტთან შესაბამისობის შემოწმება.

ექსპერტებმა შეისწავლეს დაწესებულების მიერ ცენტრში გამოგზავნილი დოკუმენტაცია. შედგა ვიზიტის დღის წესრიგი და შესაბამისად 2024 წლის 29 ივლისს განხორციელდა ვიზიტი ა(ა)იპ კოლეჯ "ჰორიზონტში (მისამართი: ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი, სოფ. გორაბერეჟოული) ექსპერტები შეხვდნენ და გაესაუბრნენ დაწესებულების დირექტორს, ადმინისტრაციას და შესასწავლ საკითხებზე პასუხისმგებელ პირებს. დათვალიერდა სასწავლო გარემოები და მატერიალური რესურსები.

დოკუმენტაციის ანალიზი, დათვალიერების და გასაუბრების შედეგები დეტალურად არის ასახული დასკვნაში.

III. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

არ დაფიქსირებულა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნაწილი II. სტანდარტთან შესაბამისობა და რეკომენდაციები

I. პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
2) საგანმანათლებლო პროგრამები	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



	☐ არ შეესაბამება	☐ არ შეესაბამება

II. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

არ დაფიქსირებულა

III. სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

არ დაფიქსირებულა

IV. განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება

2.2.1 5. დაწესებულება ბიბლიოთეკაში სასწავლო რესურსებს აღირცხავს მხოლოდ ელექტრონულად, Excel - ის ფორმაში, რომელიც არ იძლევა რესურსების ერთიანი სისტემატიზაციის შესაძლებელობას, ასევე მაღალია აღრიცხული ფონდის წაშლისა და დაკარგვის რისკები. ექსპერტთა ჯგუფის განმავითარებელი რეკომენდაციაა, კლასიფიცირების, დაცულობისა და სანდოობის მიზნით, დაწესებულებამ დანერგოს საბიბლიოთეკო ფონდის აღრიცხვის ელექტრონული სისტემა (მაგალითად , OpenBiblio ან სხვა). **(სრულად იხილეთ ინდიკატორის აღწერაში)**

2.3.1 1. დირექტორის 2023 წლის 21 სექტემბრის N04-171 ბრძანებით დამტკიცებულია **,,სასწავლო პროცესის ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმები"** რომელიც ეფუძნება დემინგის ციკლს. კოლეჯში ხარისხის შიდა უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელ პირს წარმოადგენს ხარისხის მართვის მენეჯერი. შემუშავებულია პროფესიულ სტუდენტთა, პროფესიული განათლების მასწავლებელთა, კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა კმაყოფილების კვლევის კითხვარები. .კოლეჯის ხარისხის მართვის მენეჯერი ახორციელებს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შეფასების შედეგების ანალიზს და იძლევა რეკომენდაციებს პროცესების გაუმჯობესების მიზნით. დაწესებულებაში ფუნქციონირებს შიდა მხარდაჭერის ჯგუფი, რომელიც ხელს უწყობს პროგრამათა დანერგვის პროცესს.
დაწესებულების მიერ შემუშავებული სასწავლო პროცესის ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმები მოიცავს არამხოლოდ სასწავლო პროცესის ხარისხის უზრუნველყოფას, არამედ დაწესებულებაში მიმდინარე პროცესების შეფასებას და განვითარებას ავტორიზაციის ხუთივე სტანდარტის შესაბამისად. დაწესებულებას ეძლევა განმავითარებელი რეკომენდაცია შეცვალოს მარეგულირებელი დოკუმენტის სახელი და ჩამოაყალიბოს იმგვარად, რომ პასუხობდეს დოკუმენტის შინაარსს და დაწესებულებაში მიმდინარე პროცესებს. **(სრულად იხილეთ ინდიკატორის აღწერაში)**

2.4.2 1. სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის 39-ე მუხლის მე-9 პუნქტის მიხედვით, შეფასების ინსტრუმენტის ტექნიკურ ვალიდაციას გორაბერეჟოულის სასწავლო ფართზე ახორციელებს სასწავლო და ადმინისტრაციული პროცესების მენეჯერი, ხოლო შინაარსობრივ ვალიდაციას პროგრამის ხელმძღვანელი. ამავე წესის 41-ე მუხლში შეფასების ინსტრუმენტის შინაარსობრივ ვალიდაციას ახდენს ვალიდაციის ჯგუფი. კოლეჯის ადმინისტრაციასთან გასაუბრებისას დადგინდა რომ შეფასების ინსტრუმენტის ტექნიკურ ვალიდაციას გორაბერეჟოულის სასწავლო ფართზე ახორციელებს სასწავლო და ადმინისტრაციული პროცესების მენეჯერი, ხოლო შინაარსობრივ ვალიდაციას, ვალიდაციის ჯგუფი. დაწესებულებას ეძლევა განმავითარებელი რეკომენდაცია, შეიტანოს ცვლილება სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში და შეფასების ინსტრუმენტის ვალიდაციის პროცედურა ჩამოაყალიბოს ერთი მიდგომით, დაწესებულებაში დანერგილი პრაქტიკის შესაბამისად. **(სრულად იხილეთ ინდიკატორის აღწერაში)**

V. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



ნაწილი III. ინფორმაცია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

I. ზოგადი ინფორმაცია

პროგრამის სახელწოდება	ა(ა)იპ კოლეჯი „ჰორიზონტი“
პროფესიული განათლების დონე	მეოთხე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია სატყეო საქმეში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0821
პროგრამის დამტკიცების აქტის რეკვიზიტები	N 04-104 ; 5.07.2024 წ. (ცვლილება 2024 წლის 29 ივლისის N04-115)
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი,სოფელი გორაბერეჟოული
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	რეალურ სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	კოოპერაციული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	30
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით*(არსებობის შემთხვევაში)*	
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	90
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	120

II. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შეფასება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒
ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

ნაწილი IV. პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;

ა(ა)იპ კოლეჯი „ჰორიზონტის“ მისიაა - ,,მრავალპროფილური პროფესიული საგანმანათლებლო /მომზადება/გადამზადების პროგრამების განხორციელების გზით,სოციალური ინკლუზიით, ,მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლის ხელშეწყობით,პროფესიული განათლების მიღების მსურველთათვის გამოყენებადი ცოდნა-უნარების მიწოდებით, შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი კონკურენტუნარიანი, კვალიფიციური კადრების მომზადება,რაც რეგიონის და ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას შეუწყობს ხელს“. დაწესებულების მისიიდან გამომდინარეობს კოლეჯის სტრატეგიული და სამოქმედო გემგები. 2024 წლის სამოქმედო გეგმაში კოლეჯს განსაზღვრული აქვს ახალი სტანდარტის საფუძველზე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დანერგვა (კოლეჯი ჰორიზონტის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სამივე ლოკაციისთვის). დაწესებულებამ წარმოადგინა პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთება სადაც აღნიშნულია, რომ სატყეო სექტორის რეფორმა, რომელიც საქართველოში 2012 წლიდან დაიწყო, მიზნად ისახავს ტყის მდგრადი მართვის დანერგვას ეროვნულ დონეზე. პროცესის ეტაპობრივი განხორციელების მიზნით საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ დაიწყო რიგი ინსტიტუციური და საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელება. თუმცა, ტყის მდგრადი მართვის მექანიზმებისა და პრაქტიკის დანერგვისათვის, აუცილებელია სფეროში დასაქმებულ ადამიანებს ჰქონდეთ ადეკვატური ცოდნა და გამოცდილება რეფორმით გათვალისწინებული ქმედებების ეფექტიანი განხორციელებისათვის. შესაბამისად, ტყის მართვის ორგანოების შესაძლებლობების გაძლიერება და კვალიფიკაციის ამაღლების უწყვეტი სისტემის დანერგვა წარმოადგენს სექტორის პოლიტიკისა და სტრატეგიული მიმართულებების განმსაზღვრელი არაერთი დოკუმენტის ერთ-ერთ ძირითად მიმართულებას. მათ შორის, 2013 წელს საქართველოს პარლამენტის მიერ დამტკიცებული ეროვნული სატყეო კონცეფციის თანახმად, „ტყის მართვის უწყებები უზრუნველყოფილი უნდა იყვნენ კადრებითა და ტექნიკური საშუალებებით, რათა შეძლონ თავიანთი ფუნქციების ეფექტიანად შესრულება (6.3.1), ამავე დოკუმენტის მე-7-ე თავი სრულად ეძღვნება განათლებისა და მეცნიერების განვითარების უზრუნველსაყოფად განსახორციელებელ ქმედებებს და მათ შორის ხაზს უსვამს კვალიფიკაციის ასამაღლებელი და სატყეო სექტორში დასაქმებული პირების სერტიფიცირების მდგრადი სისტემების განვითარებასა და შექმნის აუცილებლობას. სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს განვითარების სტრატეგია და სამოქმედო გეგმა 2021-2026, ცალკე მიმართულებად გამოყოფს თანამშრომელთა შესაძლებლობების განვითარებას (CSF 3, ინიციატივა 3.1. კვალიფიციური კადრით სააგენტოს უზრუნველყოფა) და ერთ-ერთ მიზანს წარმოადგენს დასაქმებულთა მომზადება და პროფესიული განვითარების სისტემის ჩამოყალიბება (3.1.2). ამავდროულად, საქართველოს ტყის კოდექსის (2020) თანახმად 2025 წლიდან სავალდებულო ხდება სერტიფიცირებული და კვალიფიციური კადრის მონაწილეობა ტყის მართვის პროცესში, რაც ნიშნავს იმას, რომ მსგავსი კვალიფიკაციის კადრზე მზარდი იქნება მოთხოვნა როგორც საჯარო, ისე კერძო სექტორში, ხოლო, ამისათვის უმნიშვნელოვანესია შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების არსებობა და განხორციელება ქვეყნის მასშტაბით. გურიის რეგიონში 77 350 ჰა ტყის ფართობია: აქედან ოზურგეთს ეკუთვნის - 22 000 -ჰა , ჩოხატაურს-44 000 -ჰა და ლანჩხუთს -11 350- ჰა. კოლეჯმა განახორციელა გურიის სატყეო სააგენტოს წარმომადგენლებთან სამუშაო შეხვედრები,სადაც გამოიკვეთა კვალიფიცირებულ კადრებზე მოთხოვნა, რომლებიც აღჭურვილი იქნებიან შესაბამისი უნარ-ჩვევებით და უსაფრთხოდ განახორციელებენ ტყეში სატყეო სამეურნეო ღონისძიებებს. სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტო ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში უკვე წლებია ფუნქციონირებს. პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთებისას კოლეჯმა ასევე იხელმძღვანელა პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერის მიერ განხორციელებული შრომის ბაზრის კვლევით,რომლის ანალიზის საფუძველზეც გამოიკვეთა კვალიფიციური კადრების მომზადების აუცილებლობა. დაწესებულებას აქვს 2012-2018 წლებში საგნობრივი პროგრამის ,,მეტყევე(ტყის მჭრელი ტაქსატორი)“ განხორციელების მრავალწლიანი გამოცდილება. კოლეჯის ადმინისტრაციასთან გასაუბრებით დგინდება, რომ იმ პერიოდში როდესაც არ ხორციელდებოდა აღნიშნული პროგრამა მოთხოვნა მაღალი იყო როგორც დაინტერესებული პირების, ასევე სახელმწიფო და კერძო სექტორის მხრიდან. დაწესებულების გადაწყვეტილება ,,სატყეო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

საქმის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ ემსახურება სწორედ ამ მოთხოვნის დაკმაყოფილებას და კვალიფიციური კადრის მომზადებით რეგიონში დეფიციტის აღმოფხვრას.

დაწესებულებამ წარმოადგინა განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს 2024 წლის 2 ივლისის N790190 კორესპონდენცია, სადაც პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტის უფროსი კოლეჯს აძლევს თანხმობას დაიმატოს აღნიშნული პროფსიული საგანმანათლებლო პროგრამა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა დამტიკიბეულია 5 ივლისის დირექტორის N 04-104 ბრძანებით (ცვლილება 2024 წლის 29 ივლისის N04-115). დაწესებულებას პროგრამის განხორციელების ფორმად განსაზღვრული აქვს მხოლოდ კოოპერაციული მიდგომა, პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა სრული ზოგადი განათლება, რომელიც შესაბამისობაშია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 2 ივლისის 42/ნ ბრძანებით დამტკიცებულ დოკუმენტთან „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესი და პირობები“. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები სრულ შესაბამისობაშია პროფესიულ საგანმანათლებლო საგანმანათლებლო სტანდარტთან.

ექსპერტთა შეფასებით ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;

   დაწესებულების დირექტორის 2022 წლის 7 ნომებრის N 04-15 ბრძანებით დამტკიცებული აქვს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია, რომელიც ითვალისწინებს საგანმანათლებლო პროგრამის სპეციფიკას, ადამიანური და მატერიალური რესურსის რაოდენობას და მის სასწავლო პროცესში გამოყენების ინტენსივობას. ზემოაღნიშნული მეთოდოლოგიიდან გამომდინარე დაწესებულებამ წარმოადგინა ,,სატყეო საქმის“

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის დასაბუთება, რომლის შესაბამისად განისაზღვრა 30 პროფესიული სტუდენტი.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ,,სატყეო საქმე" დანართის სახით მოიცავს სასწავლო რესურსების და აღჭურვილობის ჩამონათვალს, რომელიც სრულ თანხვედრაშია პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტით გათვალისწინებულ სარეკომენდაციო საგანმანათლებლო რესურსთან. შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;

პროფესიულ საგანამანთელბლო პროგრამას არჩევითი მოდულები არ აქვს .

6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;

დაწესბულებას შემუშავებული და დირექტორის 2021 წლის 9 ივნისის N 04-89 ბრძანებით დამტკიცებული აქვს (ცვლილება2023 წლის 12 ივლისის 04-131) ,,პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, ცვლილების შეტანის შეფასების განვითარების და გაუქმების წესი", რომელის მიხედვითად კოლეჯის დირექტორი, სამუშაო ჯგუფის შემუშავებულ და დირექტორის მოადგილის მიერ წარდგენილ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგორამას ამტკიცებს ბრძანებით. შესაბამისად ,,სატყეო საქმის" პროფესიული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

საგანამანთლებლო პროგრამა დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის 5.07.2024 წლის N 04-104 ბრძანებით.(ცვლილება 2024 წლის 29 ივლისის N04-115)

დაწესებულებამ წარმოადგინა არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - კოლეჯის ,,ჰორიზონტი" დამფუძნებლის 2024 წლი 1 თებერვლის სხდომის N1 ოქმი, სადაც მოცემულია დამფუძლნებლების გადაწყვეტილება, კოლეჯის დირექტორის ნ.ჯ-ს დირექტორის მოვალეობის შემსრულებლად გადანიშვნის შესახებ.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;

პროგამის სახელწოდება ,,სატყეო საქმე" შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი და სრულ შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან. პროგრამის სახელწოდება წარმოადგენს სწავლების სფეროს იდენტიფიკატორს და ქმნის სწორ მოლოდინს სწავლის შედეგებთან და სამომავლო დასაქმებასთან დაკავშირებით.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

პროგრამა შემუშავებულია პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის საფუძველზე - დამტკიცებულ პროგრამაში განსაზღვრულია პროგრამის სახელწოდება, როგორც ქართულ ასევე ინგლისურ ენაზე, სარეგისტრაციო ნომერი, მისანიჭებელი კვალიფიკაცია, პროგრამის მიზანი, პროგრამაზე დაშვების წინაპირობა, კურსდამთავრებულთა კარიერული შესაძლებლობები, ინფორმაცია მოდულების, სწავლის შედეგების, კვალიფიკაციის მინიჭების პირობების შესახებ; ინფორმაცია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) სტუდენტების სწავლების შესახებ. პროგრამის პაკეტს თან ახლავს სასწავლო გეგმა, მოდულები, კოლეჯსა და საწარმოში სწავლის შედეგების განაწილების სქემა, ინფორმაცია მატერიალური და ადამიანური რესურსების შესახებ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების დირექტორის მიერ დამტკიცებულ (N 04-104. 5.07.2024 წ.) პროფესიულ საგანამანთელო პროგრამაში კვალიფიკაციის მინიჭების პირობად, მითითებული იყო, პროფესიული სტუდენტის მიერ მხოლოდ პროგრამით განსაზღვრული კრედიტების ათვისება, არ იყო გათვალისწინებული მთავრობის 416 დადგენილების შესაბამად შუალედური და საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარება. ასევე პროგრამაში მოცემული იყო საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის 426 ბრძანების ,,პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ' 2021 წლის რედაქცია და არ იყო გათვალისწინებული ამავე წესის კოსოლიდირებული ვერსიის 24-ე მუხლის (გარდამავალი დებულებები) პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტი. პროგრამის სტრუქტურაში მოცემული იყო ,,უცხოური ენა ", თუმცა არ იყო დაკონკრეტებული რომელი უცხოური ენის სწავლებას გეგმავდა დაწესებულება. აღსანიშნავია, რომ დაწესებულებას ზემოაღნიშნული მარეგულირებელი დოკუმენტები ცვლილებებით ასახული ჰქონდა შიდა მარეგულირებელ წესებში.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული რეკომენდაცია, პროგრამაში ზემოაღნიშნული საკითხების გასწორების შესახებ, დაწესებულებამ მყისიერად გაითვალისწინა და ვიზიტის დღესვე განახორციელა პროგრამაში ცვლილება დირექტორის 2024 წლის 29 ივლისის N04-115 ბრძანებით.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- *კოლეჯ „ჰორიზონტი"-ს სტრატეგიული განვითარების გეგმა (2019-2025) ;*
- *კოლეჯ „ჰორიზონტი"-ს 2024 წლის სამოქმედო გეგმა;*
- *კოლეჯის წესდება;*
- ,,პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, ცვლილების შეტანის შეფასების განვითარების და გაუქმების წესი";
- *პროგრამის მიზანშეწონილობის დასაბუთების ცხრილი;*
- *ვებ.გვერდზე განთავსებული მისია;*

  კოლეჯ „ჰორიზონტი"-ს დირექტორის მიერ დამტკიცებული პროგრამა „სატყეო საქმე"; (2024 წლის 5 ივლისის N04-104. ცვლილება- 29 ივლისის N04-115)
- განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს 2024 წლის 2 ივლისის N790190 კორესპონდენცია;
- პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია;
- პასუხისმგებელ პირებთან გასაუბრების შედეგები.

შეფასება:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.

დაწესებულება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებას გეგმავს გორაბერეჟოულის სასწავლო ფართზე, სადაც პროგრამის განხორციელებისათვის განსაზღვრული აქვს შემდეგი გარემოები:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

A სასწავლო გარემო - პროფესიული სტუდენტის სამუშაო ადგილი 15; პროფესიული სტუდენტის სკამი - 15 ც; პროფესიული მასწავლებლის მაგიდა-სკამი 1 ც; კომპიუტერის კომპლექტი პროფესიული მასწავლებლის - 1ც; მონიტორი - 1 ც; დაფა - 1ც; პროგრამის

B სასწავლო გარემო - პროფესიული მასწავლებლის მაგიდა-სკამი 1 ც; კომპიუტერის კომპლექტი პროფესიული მასწავლებლის - 1ც; კომპიუტერის კომპლექტი პროფესიული სტუდენტისათვის - 15 ც; პროფესიული სტუდენტის სამუშაო ადგილი და სკამი -15; დემონსტრირების საშუალება - 1 ც; დაფა - 1ც; პრინტერი(კომბაინი) 1ც; ფლეშმეხსიერება 1ც. კომპიუტერებში ჩატვირთულია შესაბამისი სასწავლო პროგრამები.

C სასწავლო გარემო - აღნიშნულ გარემოში განთავსებულია პროგრამის სპეციფიკით განსაზღვრული მატერიალური რესურსები/ხელსაწყო-იარაღები, რომელიც განსაზღვრულია პროგრამის დარგობრივი მოდულების განსახორციელბლად.

დაწესებულების მიერ თითოეული მოდულის მიხედვით წარმოდგენილი მატერიალური რესურსების ჩამონათვალი შესაბამისობაშია სარეკომენდაციო ხასიათის მოთხოვნებთან და უზრუნველყოფს პროგრამით გათვალიწინებული შედეგების მიღწევას. დაწესებულებაში ვიზიტისას გადამოწმდა მატერილაური რესურსების შესყიდვის დოკუმენტები, ასევე მათი არსებობა კოლეჯის ბაზაზე.

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის ,,სატყეო საქმე" პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების მიზნით კოლეჯს გაფორმებული აქვს ხელშეკრულება ეროვნულ სატყეო სააგენტოსთან. პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა განსაზღვრულია ჯგუფში 15-ით, ორგანიზაციას ჯამში შეუძლია 30 პროფესიული სტუდენტის მიღება.

ზემოაღნიშნულის გათვალისიწინებით, ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორების მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს . საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას ,,სატყეო საქმე" განახროციელებს 9 პროფესიული განათლების მასწავლებელი. მათგან 5 განსაზღვრულია ზოგადი , ხოლო 4 პროფესიული მოდულების განხორციელებისათვის. ექსპერტებმა შეისწავლეს პროფესიული განათლების მასწავლებლების დატვირთვა და დაადგინეს, რომ განმახორციელებლების რაოდენობა და საათობრივი დატვირთვა უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების მდგრადობას.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორების მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებლებს აქვთ პროფესიული სტუდენტისთვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავებისა და შეფასების კომპეტენცია, როგორც თეორიულ ასევე პრაქტიკულ ნაწილში, რაც დასტურდება მათ პირად საქმეში დაცული კვალიფიკაციის და გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტებით. თითოეულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს, როგორც დარგში მუშაობის გამოცდილება, ასევე სწავლების. ამგვარად, პროგრამა უზრუნველყოფილია სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო ადამიანური რესურსით. ექსპერტები გაესაუბრნენ განმახორციელებლებს, რომლებმაც აღწერეს თეორიული და პრაქტიკული მეცადინეობების ჩატარების მიდგომები

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორების მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;

დამტკიცებულ საგანმანათლებლო პროგრამაში „სატყეო საქმე“ განსაზღვრულია შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი, რომელთანაც გაფორმებული ხელშეკრულების დანართში მოცემულია პროგრამის ხელმძღვანელის ფუნქციები. ხელმძღვანელის პირად საქმით და მასთან ინტერვიუირებით დასტურდება მისი როგორც დარგობრივი, ასევე პროფესიული სტუდენტისთვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავებისა და შეფასების კომპეტენცია. გასაუბრებისას დადასტურდა ასევე მისი ჩართულობა პროგრამის შემუშავების პროცედურებში.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორების მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაში „სატყეო საქმე“ მითითებული საგანმანათლებლო რესურსი, გორაბერეჟოულის სასწავლო ფართის ბიბლიოთეკაში პროფესიული სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომია მხოლოდ ელექტრონული სახით. სასწავლო ლიტერატურა ჩაწერილია ბიბლიოთეკაში არსებულ ყველა კომპიუტერში. დაწერსებულებას აქვს 3 სასწავლო განყოფილება, ჰყავს მხოლოდ ერთი ბიბლიოთეკარი, რომელიც პასუხისმგებელია რესურსების სისტემტიზაციაზე. გორაბერეჟოულის სასწავლო ფართზე აღნიშნული მიმართულებით პროფესიულ სტუდენტთა მხარდაჭერას უზრუნველყოფს სასწავლო პროცესისა და სტუდენტური სერვისების მხარდაჭერის სპეციალისტი. **დაწესებულება ბიბლიოთეკაში სასწავლო რესურსებს აღირცხავს მხოლოდ ელექტრონულად, Excel - ის ფორმაში, რომელიც არ იძლევა რესურსების ერთიანი სისტემატიზაციის შესაძლბელობას, ასევე მაღალია აღრიცხული ფონდის წაშლისა და დაკარგვის რისკები. ექსპერტთა ჯგუფის განმავითარებელი რეკომენდაციაა, კლასიფიცირების, დაცულობისა და სანდოობის მიზნით, დაწესებულებამ დანერგოს საბიბლიოთეკო ფონდის აღრიცხვის ელექტრონული სისტემა (მაგალითად , OpenBiblio ან სხვა).**

6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;

სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ 45-ე მუხლით განსაზღვრულია სსსმ პროფესიული სტუდენტებისთვის, მათი საჭიროებების გათვალისწინებით, დამატებითი მომსახურეობის გაწევის მექანიზმები. აღნიშნული მომსახურეობები გულისხმობს ჟესტური ენის თარჯიმნის/სივრცითი ორიენტაციისა და მობილობის ტრენერის/გადაადგილების მხარდამჭერის ჩართვას. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა დაწესებულებას განსაზღვრული აქვს როგორც მოდულის მოდიფიკაცია ან/და აკომოდაცია, რითაც ხდება სსსმ პირისთვის საჭირო დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურეობის დაზუსტება. ექსპერტთა შეფასებით, დაწესებულების მიერ შემუშავებული რეგულაციებით უზრუნველყოფილია სსსმ პირების პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან წვდომის შესაძლებლობა

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორების მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კოლეჯმა წარმოადგინა, როგორც საპროგნოზო ბიუჯეტი, სადაც გაწერილია შემოსავლებისა და ხარჯების ნაწილი. ხარჯების ნაწილი მოიცავს: პპროფესიული განათლების მასწავლებლის შრომის ანაზღაურებას, ნედლეულისა და მასალის ხარჯებს, საბიბლიოთეკო ფონდის შევსებას, პროფესიული განათლების მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლება და ა.შ. პროგრამის რენტაბელობის ზღვარი არის 7

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროფესიული სტუდენტი. კოლეჯის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა. სწავლება ფინანსდება სამინისტროს მიერ, ვაუჩერული და პროგრამული დაფინანსებით.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორების მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

- *პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა სატყეო საქმე";*
- *„სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი";*
- *პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის წესი;*
- *პროგრამის განხორციელებისათვის განსაზღვრული მატერიალური რესურსის ჩამონათვალი;*
- *პროგრამის განხორციელებაში გამოყენებული საგანმანათლებლო რესურსების ჩამონათვალი;*
- *მატერიალური რესურსების შესყიდვის დოკუმენტები;*
- *ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი;*
- *ვიზუალური დათვალიერების შედეგები;*
- *გასაუბრების შედეგები.*

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება

2.3.1 პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ

ა(ა)იპ კოლეჯის ,,ჰორიზონტი'' დირექტორის 2021 წლის 9 ივნისის ბრძანება N04-89 (ცვლილება 2023 წლის 12 ივლისის 04-131 ბრძანებით)

„პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, ცვლილების შეტანის შეფასების განვითარებისა და გაუქმების წესის დამტკიცების შესახებ“ მე-7 მუხლი ითვალისწინებს პროგრამის შეფასების მიდგომებს, შრომის ბაზრის მოთხოვნების ანალიზის მიზნებისათვის დაინტერესებული მხარეებისგან უკუკავშირის მიღების მეთოდებს, სწავლის შედეგების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის შედეგებს, კოლეჯის პროფესიული სტუდენტების, პროფესიული განათლების მასწავლებლების, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელების მიერ პროგრამის ეფექტიანობის შეფასების ანალიზს. ასევე, დაწესებულებას შემუშავებული აქვს,, ა(ა)იპ კოლეჯის ,,ჰორიზონტი“ “ დირექტორის 2023 წლის 21 სექტემბრის N04-171 ბრძანებით დამტკიცებულია **,,სასწავლო პროცესის ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმები“** რომელიც ეფუძნება დემინგის ციკლს. კოლეჯში ხარისხის შიდა უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელ პირს წარმოადგენს ხარისხის მართვის მენეჯერი. შემუშავებულია პროფესიულ სტუდენტთა, პროფესიული განათლების მასწავლებელთა, კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა კმაყოფილების კვლევის კითხვარები. .კოლეჯის ხარისხის მართვის მენეჯერი ახორციელებს შეფასების შედეგების ანალიზს და იძლევა რეკომენდაციებს პროცესების გაუმჯობესების მიზნით. დაწესებულებაში ფუნქციონირებს შიდა მხარდაჭერის ჯგუფი, რომელიც ხელს უწყობს პროგრამათა დანერგვის პროცესს.
დაწესებულების მიერ შემუშავებული **სასწავლო პროცესის ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმები** მოიცავს არამხოლოდ სასწავლო პროცესის ხარისხის უზრუნველყოფას, არამედ დაწესებულებაში მიმდინარე პროცესების შეფასებას და განვითარებას ავტორიზაციის ხუთივე სტანდარტის შესაბამისად. **დაწესებულებას ეძლევა განმავითარებელი რეკომენდაცია შეცვალოს მარეგულირებელი დოკუმენტის სახელი და ჩამოაყალიბოს იმგვარად, რომ პასუხობდეს დოკუმენტის შინაარსს და დაწესებულებაში მიმდინარე პროცესებს.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, ცვლილების შეტანის შეფასების განვითარებისა და გაუქმების წესის დამტკიცების შესახებ“ ა(ა)იპ კოლეჯის ,,ჰორიზონტი'' დირექტორის 2021 წლის 9 ივნისის N04-89 ბრძანების (ცვლილება 2023 წლის 12 ივლისის 04-131 ბრძანებით) მე-6 მუხლი არეგულირებს პროგრამაში ცვლილებების შეტანისა და განვითარების საკითხებს, მათ შორის, განსაზღვრულია - პროგრამაში ცვლილების ინიცირების უფლების მქონე პირები: ხარისხის მართვის მენეჯერი, პროგრამის ხელმძღვანელი, მოდულის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებელი, კოლეჯის პარტნიორი ორგანიზაცია და სხვა დაინტერესებული პირები. მოცემულია პროგრამაში ცვლილების შეტანის ინიცირების პროცედურა; პროგრამაში ცვლილებების განხორციელების მიდგომები, მათ შორის, სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ინფორმირების საკითხები; პროგრამის ხელმძღვანელის როლი პროგრამის განვითარების პროცესში; პროგრამაში ცვლილებების შეტანის თაობაზე ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტის გამოცემის საკითხები და სხვა.

ექსპერტთა შეფასების ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- *პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, ცვლილების შეტანის შეფასების განვითარებისა და გაუქმების წესი;*
- *სასწავლო პროცესის ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმები;*
- *ხარისხის მართვის მენეჯერთან გასაიბრების შედეგები ;*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;

კოლეჯის დირექტორის 2023 წლის 20 სექტემბრის N04-146 ბრძანებით დამტკიცებული სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი, (ცვლილება - 2024 წლის 03 ივლისი 04-100 ბრძანება) რომელიც არეგულირებს სასწავლო პროცესის დაგეგმვასა და წარმართვასთან დაკავშირებულ საკითხებს. ,,ა (ა)იპ კოლეჯის ,,ჰორიზონტი" გორაბერეჟოულის სასწავლო ფართზე სასწავლო და ადმინისტრაციული პროცესების წარმართვაზე პასუხისმგებელია სასწავლო და ადმინსიტრაციული პროცესების მენეჯერი. იგი უზრუნველყოფს სასწავლო გეგმის შესაბამისად, სასწავლო ცხრილების შემუშავებას და პროფესიული განათლების მასწავლებელთა საათობრივი დატვირთვის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შედგენას.პროგრამის სასწავლო გეგმაში შეტანილია ყველა სასწავლო მოდული და განსაზღვრულია სასწავლო კვირების რაოდენობა და გათვალისწინებულია გადაბარების მინიმუმ ერთი კვირა იმ მოდულებს შორის, რომელთაგან ერთ-ერთი წარმოადგენს მეორე მოდულზე დაშვების წინაპირობას. პროფესიული სტუდენტის კვირეული საათობრივი დატვირთვა დამოუკიდებელი საათების ჩათვლით არ აღემატება 40 საათს. პროფესიული განათლების მასწავლებლები მოდულის დაწყებამდე შეიმუშავებენ კალენდარულ გეგმებს, პროგრამის სასწავლო გეგმაში საათების განაწილების შესაბამისად. მასწავლებელთა სამუშაო აღწერილობით გათვალისწინებულია კალენდარული გეგმის შემუშავება.

ექსპერტთა შეფასების ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე.

სასწავლო პროცესის სმარეგულირებელი წესის შესაბამისად დაწესებულებაში სასსწავლო პროცესი წარმიმართება პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით. კოლეჯს სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში გათვალისწინებული აქვს არა მხოლოდ ცალკეული სტუდენტისათვის, არამედ ცალკეული ჯგუფისათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმების ფარგლებში სწავლების შესაძლებლობა. მარეგულირებლის 30- ე მუხლის მიხედვით, პროფესიულ სტუდენტს/სტუდენტთა ჯგუფს უფლება აქვს ისარგებლოს ინდივიდუალური მეცადინეობის სერვისით; ინდივიდუალური მეცადინეობის ორგანიზებას ახორციელებს სასწავლო და ადმინისტრაციული პროცესების მენეჯერი, პროფესიულ სტუდენტთან/სტუდენტთა ჯგუფთან და პროფესიული განათლების მასწავლებელთან შეთანხმებული განრიგით. ინდივიდუალური მეცადინეობის სერვისის გამოყენება შეუძლია პროფესიულ სტუდენტს ან პროფესიულ სტუდენტთა ჯგუფს წერილობითი განცხადების საფუძველზე, თუ პროფესიულ სტუდენტთა ჯგუფი ან პროფესიული სტუდენტი განმსაზღვრელი შეფასების წინ საჭიროებს ინდივიდუალურ მეცადინეობას/კონსულტაციას. ასევე, პროფესიულ სტუდენტთა ჯგუფს ან პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს პროფესიული განათლების მასწავლებელთან შეთანხმებული ფორმით (ელექტრონული ფოსტა, დახურული ჯგუფები, ელ. პლატფორმა, სატელეფონო კონსულტაცია და სხვა) ისარგებლოს მასწავლებელთან კონსულტაციით, იმ პერიოდულობით რაც დასჭირდება პროფესიულ სტუდენტს სწავლის შედეგების მისაღწევად.

ექსპერტთა შეფასების ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას.

სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას. პროგრამის შესაბამისი სასწავლო რესურსი და მატერიალური ბაზა იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ სასწავლო პროცესი წარიმართოს დარგის თანამედროვე ტექნოლოგიებისა და მეთოდების გამოყენებით. დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენების საჭიროება ძირითადად დგება პროფესიული მოდულების განხორციელებისას. დამსაქმებელთა უკუკავშირის შესწავლისა და ინტერვიუირების შედეგად დადგინდა, რომ პროგრამით განსაზღვრული სწავლების მეთოდები და ტექნოლოგიები, თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისია, სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის თანამედროვე მიდგომებს. ასევე, აღსანიშნავია, რომ ყველა მასწავლებელს გავლილი აქვს ტრენინგები სწავლებისა და შეფასების საკითხებზე და ასევე, აფიქსირებენ მზაობას სისტემატურად კვალიფიკაციის ამაღლებასთან დაკავშირებით.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები.

კოლეჯის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით განსაზღვრულია სწავლის შედეგების მიღწევისას პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინების საკითხები. კერძოდ, სწავლის შედეგების მიღწევის მიზნებისათვის რეგულაცია ითვალისწინებს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებას სსსმ და შშმ პირთათვის. დოკუმენტში გაწერილია სასწავლო პროცესში შშმ და სსსმ პირთა სწავლებისა და მხარდაჭერის ღონისძიებები. ამ ეტაპზე კოლეჯს ჰყავს ინკლუზიური პროფესიული განათლების გუნდი სხვა მისამართებზე. მხარდაჭერის მექანიზმები გაწერილია და თუკი ლანჩხუთის მისამართზეც დადგება სსსმ პირთათვის მხარდაჭერის სპეციალისტების საჭიროება, არსებული გამოცდილების შესაბამისად, აიყვანენ შტატგარეშე თანამშრომლებს, რომლებიც დაფინანსდებიან საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ, სსსმ პირის ყოველკვარტალური ვაუჩერული დაფინანსების ფარგლებში. ასევე, მარეგულირებლით გათვალისწინებულია ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების წესი და პროცედურა პროფესიული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სტუდენტის მობილობის, სტატუსის აღდგენის შემთხვევებისათვის. შესაბამისად, პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები და ექსპერტები ადასტურებენ, რომ **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთა/ სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით.

დაწესებულება პროფესიული საგანამანათლებლო პროგრამის ,,სატყეო საქმე“ პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების მიზანით თანამშრომლობს ეროვნულ სატყეო სააგენტოსთან. პროგრამა განხირციელდება კოოპერაციული მიდგომით, შესაბამისად პარტნიორ ორგანიზაციასთან გაოფრმებულ ხელშეკრულებაში დაზუსტებულია იმ მოდულების სწავლის შედეგების ჩამონათვლი, რომელიც გნახორციელდება ეროვნული სატყეო სააგენტოს ჩოხატაურის ბაზაზე.

1. „ტყის მერქნიან სახეობათა თესლების წარმოება“N3 შედეგი(45 სთ);
2. „ხე-ტყის დამზადება“ N2 შედეგი(34 სთ),N3 შედეგი(45 სთ), N4 შედეგი(45 სთ),N5 შედეგი (45 სთ);
3. „ტყით რეკრეაციული სარგებლობა და საფეხმავლო ბილიკების განვითარება“ N2 შედეგი(23 სთ), N3 შედეგი (23 სთ), N4 შედეგი (23 სთ);
4. „მეტყევეობა და ტყეთმოწყობა“ N 3 შედეგი (45 სთ) N 4 შედეგი (67 სთ) ;
5. „ტყის დაცვა მავნებელ-დაავადებისაგან“ (91 სთ) ;
6. ,, საწარმოო პრაქტიკა“.

პარტნიორი ორგანიზაცია გამოთქვამს მზაობას მიიღოს ჯამში 30 პროფესიული სტუდენტი (ჯგუფში 15). ხელშეკრულებით დაზუსტებულია მატერიარული რესურსების ჩამონათვალი, რომელიც პრაქტიკული კომპონენტის სწავლებისას გამოიყენება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაში არსებული ზოგიერთი მოდულის პრაქტიკული ნაწილის განხორციელება შესაძლებელია დაწესებულების საკუთრებაში არსებულ ფართზე (კოლეჯის ეზო სულ 11110 კვ.მ ,ტყის ფართობი 1500 კვ.მ), სადაც გაშენებულია ტყის მასივი. აქ წარმოდგენილია წიწვოვანი და ფოთლოვანი ხეები. კოლეჯს ასევე აქვს ეზოში დახურული გრუნტი 100 კვ.მ. აღნიშნული ინფორმაცია მოცემული და დაზუსტებულია იმ მოდულები, რომელიც განხორციელდება დაწესებულების საკუთრებაში არსებულ ტყის ფართობზე.

ექსპერტთა შეფასებით ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრებით, სასწავლო პროცესის განხორციელება შესაძლებელია უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით. პროგრამით განსაზღვრული მოდულების თეორიული და პრაქტიკული კომპონენტის სწავლებისთვის გამოიყენებენ დაწესებულების აუდიტორიებს, სადაც უზრუნველყოფილია უსაფრთხო სასწავლო გარემო. რაც შეეხება პროგრამით გათვალისწინებული მოდულების პრაქტიკულ კომპონენტების სწავლებას, რომელიც ხორციელდება დაწესებულების პარტნიორი ორგანიზაციის ბაზაზე, ხელშეკრულებებში გაწერილია პირობა, რის თანახმადაც ორგანიზაცია ვალდებულია უზრუნველყოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული პრაქტიკული სწავლის შედეგების მიღწევისთვის უსაფრთხო გარემო

დასტურდება (მტკიცებულებები):

- *საგანმანათლებლო პროგრამა „სატყეო საქმე „*
- *ეროვნულ სატყეო სააგენტოსთან გაფორმებული ხელშეკრულება;*
- *სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი,*
- *პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, ცვლილების შეტანის შეფასების განვითარებისა და გაუქმების წესი;*
- *სასწავლო გარემოებს დათვალიერების შედეგი;*
- *პასუხისმგებელ პირებთან, განმახორციელებლებთან, პარტნიორთან ინტერვიუს შედეგები*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;

სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი განსაზღვრავს პროფესიული სტუდენტის შეფასების საკითხებს, მათ შორის, შუალედური და საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარების წესსა და პროცედურას. რეგულაციის 39 - ე მუხლი განსაზღვრავს პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიულ სტუდენტთა შეფასების წესს. დაწესებულებას დამტკიცებული აქვს შეფასების ინსტრუმენტის ფორმა. წესი ასევე განსაზღვრავს შეფასების ინსტრუმენტის შერჩევის პროცედურას, შეფასების ინსტრუმენტის და მტკიცებულებების მიმართ არსებულ მოთხოვნებს, შეფასების ინსტრუმენტის შემუშავების პროცედურებს, შეფასების ადმინისტრირების საკითხებს, რომელი ინსტრუმენტი გამოიყენება განმეორებითი შეფასების დროს, მტკიცებულებების მოპოვებისა და შენახვის წესს. დოკუმენტში მოცემულია დამატებითი შეფასებისა და აპელაციის პირობები.

სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის 39-ე მუხლის მე-9 პუნქტის მიხედვით, შეფასების ინსტრუმენტის ტექნიკურ ვალიდაციას გორაბერეჟოულის სასწავლო ფართზე ახორციელებს სასწავლო და ადმინისტრაციული პროცესების მენეჯერი, ხოლო შინაარსობრივ ვალიდაციას პროგრამის ხელმძღვანელი. ამავე წესის 41-ე მუხლში შეფასების ინსტრუმენტის შინაარსობრივ ვალიდაციას ახდენს ვალიდაციის ჯგუფი. კოლეჯის ადმინისტრაციასთან გასაუბრებისას დადგინდა რომ შეფასების ინსტრუმენტის ტექნიკურ ვალიდაციას გორაბერეჟოულის სასწავლო ფართზე ახორციელებს სასწავლო და ადმინსტრაციული პროცესების მენეჯერი, ხოლო შინაარსობრივ ვალიდაციას იმავე მოდულის სხვა მასწავლებელი. დაწესებულებას ეძლევა განმავითარებელი რეკომენდაცია, შეიტანოს ცვლილება სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში და შეფასების ინსტრუმენტის ვალიდაციის პროცედურა ჩამოაყალიბოს ერთი მიდგომით, დაწესებულებაში დანერგილი პრაქტიკის შესაბამისად.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;

კოლეჯის დირექტორის დამტკიცებულია ვერიფიკაციის მექანიზმი. კოლეჯი ვერიფიკაციას ახორციელებს სამი მიმართულებებით: შეფასების გამოყენებული ინსტრუმენტის ვერიფიკაცია; პროცესის ვერიფიკაცია და მტკიცებულებების ვერიფიკაცია. ვერიფიკაციის მექანიზმი მოიცავს შემდეგ საკითხებს: შერჩევის მექანიზმი (რისკების სისტემა); ვერიფიკაციის პროცესზე პასუხისმგებელი პირი; ვერიფიკაციის განმახორციელებელი პირები; ვერიფიკაციის პროცედურა (დასკვნა, დასკვნის განხილვა, სამოქმედო გეგმა და ა.შ). ვერიფიკაციის პროცესს ხელმძღვანელობს ხარისხის მართვის მენეჯერი. წარმოდგენილი დოკუმენტი შემუშავებულია სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ შემუშავებული რეკომენდაციების საფუძველზე და **ექსპერტები ადასტურებენ, რომ პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს.**

3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;

სასწავლო პროცესის რეგულირების წესის შესაბამისად პროფესიულ სტუდენტთათვის კვალიფიკაციის მინიჭების საკითხის განხილვის დროს, პროგრამის ხელმძღვანელი შეგროვებულ მტკიცებულებებს სტუდენტთა პორტფოლიოს სახით წარუდგენს საკვალიფიკაციო კომისიას, ხოლო შემდეგ მტკიცებულებები სტუდენტთა პორტფოლიოს სახით გადაეცემა არქივს შენახვის მიზნით. მტკიცებულებები, სტუდენტთა პორტფოლიოები 3 წლის ვადის გასვლის შემდეგ, ერთი თვის ვადაში. მტკიცებულებები, სტუდენტთა პორტფოლიოები დაცულია უწყისის გაფორმებიდან სამი წლის ვადით, ხოლო უწყისები სწავლის შედეგების მიღწევის შესახებ - მუდმივად.

ექსპერტთა შეფასების ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით გათვალისწინებულია სასწავლო პროცესში განმავითარებელი შეფასების გამოყენება, რომელიც პროფესიული განათლების მასწავლებელს აძლევს საშუალებას, შეამოწმოს სტუდენტების მიღწევის დონე სწავლის შედეგებთან მიმართებაში და შესაბამისად დაგეგმოს სწავლების პროცესი, ასევე მისცეს რეკომენდაცია სტუდენტს თუ რა კუთხით გააქტიუროს მუშაობა განმსაზღვრელი შეფასებისთვის. რეგულაციით გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინფორმირება მათ შეფასებასთან დაკავშირებით, პერსონალური მონაცემების დაცვის გათვალისწინებით და ასევე, შედეგების საფუძველზე პროფესიული განათლების მასწავლებლებისაგან დამატებითი კონსულტაციების მიღების შესაძლებლობა. აღსანიშნავია, რომ პროფესიული სტუდენტების მიერ შესავსები კითხვარი, რომლითაც ფასდება მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დანერგვა, მოიცავს შეკითხვებს, რომელთა მეშვეობით ხარისხის მართვის მენეჯერს შეეძლება აღნიშნული ინდიკატორის შეფასება. აღსანიშნავია, რომ განმავითარებელი ფუნქცია ექნება შუალედურ შეფასებასაც, რომლის ფარგლებში განხორციელდება პროფესიული სტუდენტის მიღწევების შეფასება, იდენტიფიცირდება გამოწვევები, როგორც კონკრეტული სტუდენტის საჭიროებები, ასევე, საჭიროებები, რომელთა გადაჭრა ხელს შეუწყობს პროგრამის განვითარებას. ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან ინტერვიუთი დასტურდება, რომ კოლეჯში პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

ექსპერტთა შეფასებით ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- *სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;*
- *ვერიფიკაციის მექანიზმები;*
- *სასწავლო და ადმინსტრაციული პროცესების მენეჯერის სამუშაო აღწერილობა;*
- *პასუხისმგებელ პირებთან გასაუბრების შედეგები.*

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



☐ არ შეესაბამება

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი 1. ვიზიტის დღის წესრიგი

12.08.2024 წ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: